ოქმი:**ო63. 63261982**
თარიღი:**17/07/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 27

ქ. სამტრედია. 17 ივლისი, 2026 წელი.

2026 წლის 17 ივლისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, გიორგი მეიშვილის, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი მეიშვილი, ნათია პაპავა, ირაკლი მელაშვილი, მანანა სირბილაძე, გოჩა არველაძე, მერაბ უღრელიძე, ჯონი თევზაძე, ნუგზარ ნუცუბიძე, თენგიზ ცაგურია, გრიგოლ ჩიგოგიძე მ.შ

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

2. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში, თამილა კეკელიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო:

დღის წესრიგი

1. ,, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 ივლისის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

2. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის,*** აპარატის უფროსის 2026 წლის **N:63-63261972** მოხსენებითი ბარათი, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 ივლისის N22 დადგენილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2026 წლის 14 ივლისის საკრებულოს რიგით სხდომაზე დამტკიცდა დადგენილება N22 ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''. აღნიშნული დადგენილება გამოქვეყნების მიზნით გაგზავნილ იქნა საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე. დადგენილების ატვირთვისას დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ, დადგენილების დანართი N1-ის მე-7 მუხლს არ ახლავს შესაბამისი ცხრილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკრებულოს 2026 წლის N22 დადგენილება საჭიროებს ტექნიკური ხარვეზის გასწორებას და შესაბამისი ცვლილების შეტანას.

საკითხი განიხილა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად, შეტანილ იქნეს ცვლილება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 ივლისის N22 დადგენილებაში და დადგენილების დანართი N1-ის მუხლი 7, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ხარჯები **34,373.0** ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2024 წლის ფაქტი			2025 წლის ფაქტი			2026 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	**23,599.0**	**1,328.9**	**22,270.1**	**29,598.6**	**2,436.2**	**27,162.4**	**34,373.0**	**4,963.8**	**29,409.2**
შრომის ანაზღაურება	3,855.7	0.0	3,855.7	4,224.7	0.0	4,224.7	4,716.1	0.0	4,716.1
საქონელი და მომსახურება	3,239.5	713.6	2,525.9	3,650.3	1,114.1	2,536.2	4,629.5	1,397.1	3,232.4
პროცენტი	13.8	0.0	13.8	7.6	0.0	7.6	5.0	0.0	5.0
სუბსიდიები	11,906.1	194.8	11,711.3	14,526.4	284.6	14,241.8	15,878.1	297.1	15,581.0
გრანტები	112.2	0.0	112.2	29.2	0.0	29.2	37.7	0.0	37.7
სოციალური	2,326.2	0.0	2,326.2	3,105.2	0.0	3,105.2	2,893.0	0.0	2,893.0

უზრუნველყოფა									
სხვა ხარჯები	2,145.5	420.5	1,725.0	4,055.2	1,037.5	3,017.7	6,213.6	3,269.6	2,944.0

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ,, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 ივლისის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

2. სხვადასხვა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, საკრებულოს სხდომა გაიმართება 2026 წლის 17 ივლისს, 11^{00} საათზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

გიორგი მეიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი